ოქმი:**ო12. 3724072001**

თარიღი:**12/03/2024**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 7 მარტი
ქ.ოზურგეთი
12.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ღაჟონია, გ. სირაძე, ბ. მელუა, ე. გორდელაძე,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

2. ა(ა).ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებათა გაერთიანების“ მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: კობა ბალავინოვი

3. ა(ა).ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ცენტრის“ მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: ლანა ქავთარაძე

4. ა(ა).ი.პ ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკების“ მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: ლიანა ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული გეგმის შემუშავება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაა, იგი კანონით

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგულირდება. აქედან გამომდინარე ყოველ წელს მუშავდება და მტკიცდება სამოქმედო გეგმა, განისაზღვრება მიზანი, ამოცანები და აქტივობები. შემდეგ გააცნო კონკრეტულად სამოქმედო გეგმა, ისაუბრა ადაპტირებულ გარემოზე, შ.შ.მ პირების ჩართულობაზე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და ა. შ. კომისიის წევრმა გ. სირაძემ დასვა შეკითხვა-რამდენად გაიზარდა შ.შ.მ პირების პროგრამების დაფინანსება ბიუჯეტში? უპასუხეს 40 ათასი ლარით. საკრებულოს წევრმა ბ. თოიძემ დასვა შეკითხვა-არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტში შ.შ.მ პირების ერთიანი ბაზა? უპასუხეს, რომ აღრიცხულია 2756 პირი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, და მხარი დაუჭირეს გეგმის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა კ. ბალავინოვმა, რომელმაც ძირითადი ყურადღება გაამახვილა სპორტულ ინფრასტრუქტურაში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე და მის მოსაგვარებლად გაწეულ საქმიანობაზე. აღინიშნა, რომ ამ პრობლემების მოგვარება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მეტად ხანგრძლივი, ეტაპობრივი, პროცესი იქნება, ამიტომ მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შესაბამისმა სამინისტრომ და ფედერაციებმაც. ისაუბრა სპორტულ მიღწევებზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ცენტრის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობა და მხარი დაუჭირეს მის ცნობად მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა ლ. ქავთარაძემ, რომელმაც ისაუბრა მუზეუმებში და მის ფილიალებში ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით გაწეულ მუშაობაზე, ფონდების დაცვაზე, ექსპოზიციების მოწყობაზე, ვიზიტორებზე, მუზეუმი დაათვალიერა 719 -მა ადამიანმა. აღნიშნა, რომ დვაბზუს ეთნოგრაფიულ და ცხემლისხიდის გ. სალუქვაძის სახლ-მუზეუმებს ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ცენტრის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობა და მხარი დაუჭირეს მის ცნობად მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეოთხე საკითხი, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა ლ. ბაქანიძემ, რომელმაც ისაუბრა ცენტრალურ და სასოფლო ბიბლიოთეკებში ჩატარებულ ღონისძიებებზე, აღნიშნა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, წიგნადი ფონდების შევსების, პერიოდული პრესით მომარაგების და სხვა საკითხზე. ყოველწლიურად წიგნების შესაძენად ბიუჯეტიდან იყოფა 10 ათასი ლარი. ისაუბრა სხვადასხვა განხორციელებულ პროექტებზე, ევროპულ ბიბლიოთეკებთან და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ურთიერთობაზე. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე, ჩატარებულ ღონისძიებებზე. სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა დასვა შეკითხვა-მოწესრიგდა თუ არა ელექტროგაყვანილობა? უპასუხეს, რომ პროცესი დაწყებულია, საერთოდ პროექტი შედგენილია და იგეგმება ცენტრალური ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ცენტრის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობა და მხარი დაუჭირეს მის ცნობად მიღებას.

გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე შემდგომი

პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2.კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 2,3,4 საკითხები მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი